ფასი 10 კ.

ქვირა, 27 აპრილი

№ 8.—1914 წ.

ილ. ჭავჭავაძე
(იხილე ამავე ნომერში „ქართველ მწერალთა წერილები")

ეგ. ნინოშვილი
(გარდაცვალებიდან 20 წლის შესრულების გამო)

მისი იმპ. უმაღ. დ. მ. კონსტანტინე კონსტანტინეს ძე (კ. რ.)

მგოსანი, ავტორი პიესის „მეუფე ურიათა", იოსებ არიმათიელის როლში (იხ. ამავე ნომერში)

თეატრი და ცხოვრება
№ 8

შინაარსი:

1) დრო დავიწყოთ, მეთაური 1
2) მსახიობი ი. ივანიძე აკაკის შესახებ 1
3) რკალები. I ინერციული ყოფა, აკაკი პაპავასი 2
4) ნაწყვეტები, ივ. გომართელისა 3
5) ამპლუა (დასასრული), შალვა დადიანისა 4
6) „შენ არა გტირი!“ გოდება ქართველის დედისა, ნინო ყიფიანისა 6
7) ხმა ბუნებისა, დავ. კილოსანიძისა 7
8) მეუფე ურიათა, დრამა 4 მოქ. კ. რ.-სა., თარგ. კ. მესხისა 8
9) ტანჯულთ მგოსანი, დია ჩიანელისა 11
10) სასაფლაოზე, ვ. მწუხრიშვილისა 13
11) გაზაფხული, ილია ბახტაძისა 13
12) შენ ვერ გაიგებ, ვერ მიხვდები!.. იუზა ზარდალიშვილისა 14
13) ქართველ მწერალთა წერილები—ილია ჭავჭავაძე, სოფ. მგალობლიშვილისა 14
14) აჩრდილი (ტეტმაერიდან), მიხ. ბოჭორიშვილისა 15
15) წვრილი ამბები 16
16) პატარა გლეხთა კონცერტი, მეთვალყურისა 16

გ. ტერ-დავთიანი
გიჟის როლში („პეპო“)

ქართული თეატრი

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

კვირას, 27 აპრილს 1914 წ.

უკანასკნელად

სინათლე

ზღაპარი-ფეერია 3 მოქ. და 7 სურ. ი. გედევანიშვილისა

ახალი დეკორაციები და ტანთსაცმელი

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

რეჟ. **ვ. შალიკაშვილი**

ადმინისტრაცია **ქართ. დრამ. საზ-სა.**

ოთხშაბათს, 30 აპრილს, 1914 წ.

გადაჭრილი მუხა

პიესა 4 მ., ვ. შალიკაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი**

ადმინისტრაცია **ქართ. დრამ. საზ-სა**

№ 8

წლიურად **5** მ., ნახევარ წლით **3** მ., ცალკე ნომერი **10** კ. ხელის მოწერა მიიღება დრ. საზ. კანტორაში და იოსებ იმედაშვილთან (,,**სოროპანი**''-ს სტამბაში). მისამართი:

Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба"
Іос. Имедашвили.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება შუადღის 10—2 ს. და საღ. 6—7 ს. ტელეფონი № 15-41.

№ 8 კვირა, 27 აპრილი 1914 წ.

27 აპრილი

დრო დავიწყოთ. უკვე დაიწყო ჩვენთა ძმათა—ქართველ მაჰმადიანთა—გამოფხიზლება. თუ ისტორიულ ჩარხის უკუღმართმა ტრიალმა სამშობლო ქვეყანას დიდი ნაწილი ჩამოაცალა და სარწმუნოებით ისლამს შეუერთა, გვარტომობით მაინც ვერ შესცვალა და დღეს მათ შორის დაიბადა კითხვა: ვინ ვიყვნეთ, ვინა ვართ და ვინ უნდა ვიყოთო?

სამშობლო ენაზე სწავლა-განათლება, ეროვნულ ნიადაგზე მოქალაქეობრივ-კულტურული წინსვლა,—აი რას მოითხოვენ დღეს ჩვენი ძმანი—ქართველ-მაჰმადიანნი.

ამ მიზნით მათ შორის თვისი წვლილი შეიტანეს ჩვენმა მწიგნობარ-მოღვაწეთ (წ. კ. ს., გ. წერეთელმა, ზ. ჭიჭინაძემ, ი. კერესელიძემ, ჰზირამ და სხ.). მაგრამ ეს წვეთია ზღვაში.

დადგა დრო, როდესაც ქართველ მსახიობის ხმაც უნდა განისმას ქართველ მაჰმადიანთა შორის: სცენიდან მშობლიურ ჰანგების მოსმენა, სამშობლო ენით ამეტყველება, ეროვნულ გრძნობათა გაღვივება,—აი რა ესაჭიროება დღეს უკუღმართ გარემოებათა გამო გადაგვარების გზაზე შემდგართ...

სკოლამ, მწიგნობრობამ და ქართულმა სცენამ ხელიხელს უნდა ჩაჰკიდოს და დაიწყოს საალმშენებელო მოღვაწეობა...

დრო არ გვიცდის. საჭიროა შესდგეს რიგიანი დასი და გაემგზავროს მაჰმადიან ქართველებში წარმოდგენების გასამართავად. ასეთის მოგზაურობით შეიძლება სტამბოლს უწიოს და იქაურ ქართველთაც მოასმენინოს სცენიდან მშობლიური ხმა...

რაღა თქმა უნდა, რეპერტუარი შესაფერი უნდა შეირჩეს,—ჩვენი ისტორიული პიესები, სადაც განსაკუთრებით სარწმუნოებრივ ნიადაგზე სწარმოებს ბრძოლა,—არ გამოდგება...

ისეთი რეპერტუარი უნდა შესდგეს, რომელიც არ შეჰლახავს ჩვენთა ძმათა სარწმუნოებრივ გრძნობა-ადათებს და ეცდება, გაუძლიეროს სამშობლოსადმი სიყვარული, უმაღლესი საეროვნო-სამოქალაქო მისწრაფებანი ჩაუნერგოს, გაათვითცნობიეროს...

ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, როგორც ჯ5 წლის წინად შემდგარმა სამუდამო დასმა ერთის ჩავლით ღრმა ძილიდან გამოაფხიზლა მძინარე საზოგადოება, ისევე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს ქართველ მაჰმადიანებზე სამშობლო სცენა...

ამ მიზნით შემდგარ „მოგზაურ დასს" ნივთიერი დახმარება ესაჭიროება ყველა იმ დაწესებულებთაგან, რომელთაც მართლა და გული შესტკივათ სამშობლო ქვეყნიდან უნებლიედ მოწყვეტილ ძმათათვის... და ეს ასეც იქნება, მხოლოდ თაოსნობა, თავგამოდებაა საჭირო...

საქმეს ხელი მოვკიდოთ და ძნელი არაფერია...

ქართველო მსახიობო, აი დღეს შენი მოწოდება სამშობლოს წინაშე!.. ნუ ხარ შებორკილი და მოქმედების ასპარეზი გაიფართოვე!..

ამითი შენს სახელს ახალი შარავანდედით შეჰმოსავ, ქვეყანას სამსახურს გაუწევ და სამშობლოს წინაშეც ვალ-მოხდილი იქნები...

საქმეს დაყოვნება აღარ უნდა!..

მსახიობი ი. ივანიძე აკაკის შესახებ სწერს („ს. გ." № 1164): „საზოგადოებას თქვენმა გაზეთმა შემდეგი აუწყა: აკაკის ფონდი უკვე მოისპო—ფული

გამოილიარ. ვინაიდან ამ სახელოვან მგოსნის სახელობის ფონდს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს, ამის გამო რედაქციას ვუგზავნი ჩემ მიერ მცირე, მაგრამ გულწრფელ წვლილს და დარწმუნებული ვარ, ყველანი განურჩევლად მიმართულებისა, შეეცდებიან შეავსონ იგი".

რპალეგი

I

ინერციული ყოფა.

თვალწინ მიდგას ჩემი სამშობლოს წარმტაცი ბუნების მხიბლავი სახე და მის წიაღში დანავარდობს ჩემი ოცნება.

ვიღებ ხელში ჩვენი დღეის მწერალთა და პოეტთა შემოქმედებას და სიამით ვკმაყოფილდები: ვრწმუნდები, რომ ამ ქმნილებაში ლამაზი და სრული სარკე ჰპოვა ჩვენი ქვეყნის მარგალიტებმა, რომ ეს შემოქმედება აღსავსეა ჩვენი ბუნების ცოცხალ მოძრაობით.

ყოველი საგანი ჩვენის ბუნებისა აშკარად მეტყველებს, ვით ცოცხალი არსება და მის რითმიულ მოძრაობაში შემოქმედი ჰარმონიულად შლის თვის გულის ვარამს. მთელი ჩემი არსება დატყვევებულია, სული ჩემი დატვირთულია ლამაზის ზურმუხტებით და მშობლიურ ქვეყნის სილაღე სცემს.

მაგრამ გონება ჩემი მაინც ფხიზლობს და, დროგამოშვებით, ეძიებს უმთავრესს, რაც უნდა სჩანდეს და რაც ამ შემოქმედებაში მიმქრალა.

ლამაზის სურათებით დამთვრალ ოცნებას ინსტინქტით სწყურია იხილოს ბუნების გვირგვინი, დაინახოს მისი მოძრაობა და ჩასწვდეს მის სულიერ ტრაღედიას.

მე მწადია ვიხილო ადამიანი თვის სულის ძახილით, მაღალის მისწრაფებით, წყურვილებით აღტყინებული და მოძრაობით აღვსილი.

მაგრამ იგი ამ შემოქმედებაში არსადა სჩანს... და გული ჩემი მწუხარებას ეძლევა.

გვინდა ვიცოდეთ, რად გაურბის ჩვენი მწერლობა ამ ადამიანს?

მაშ ერთის წუთით ყური ათხოვეთ ხელოვანის წადილს და გაიგებთ, რომ იგი განგებ არ გაურბის ამ ადამიანს, რომ იგი თითქოს იძულებულია მას გვერდი აუაროს და მარტოოდენ მისი მშობელი ბუნების სურათები გარდაგვიშალოს.

ყოველი ხელოვანი სცდილობს თვისი ფანტასტიური სახეები ობიექტიურის საგნების საშუალებით გაშალოს. მისი ინსტინქტი იწევს ისეთ სიმბოლოებისაკენ, რომელნიც არსებით ცოცხალნი არიან და მოძრაობენ. მას სწყურია სუბიექტიური ტრაგედია ობიექტიურ აქტიობაში გაშალოს იმიტომ, რომ ყოველი ქმნა მოძრაობა და სიცოცხლეა.

და აი მის წინ წარსდგა დღეის ადამიანი ვნება-დამცხრალი და ნება-დამსხვრეული; ადამიანი არსებითად უმოქმედო და უაქტო, რომელსაც ახასიათებს ინერციული ყოფა და ხელოვანმა მას ზურგი უჩვენა.

ზარატუსტრას ენით ნიცშე დაწვრილმანებულ ხალხს იწვევდა და ზიზღით ეტყოდა: „თქვენ მახინჯები ხართ და მე არ მეგულვება მეედელი, რომელსაც შეეძლოს თქვენი გასწორება, გამართვა. თქვენ მახინჯი სარკე ხართ, რომელშიაც ყოველი სიმართლე და თვით ჩემი სახეც საშინლად სახიჩრდება."

და იგი მოუწოდებდა ზე-კაცს, მომავლის შვილს; დღეის მწერლობაც თითქოს მიხვდა, რომ უმოძრაო და უაქტო ადამიანი ვერ დაიტევს მის მოქმედ ფანტაზიას, ვერ ატარებს მის მოძრავ და ცოცხალ სახეებს;—განახლების წყაროც თითქოს დაშრეტილა მასში.

და იგი მიმართავს ბუნებას, რომელიც ატარებს საიდუმლოებას მუდმივის განახლებისა, აქტიობისა და სიცოცხლისას.

საქართველოს ძველ მგოსანთა შემოქმედებაში კიდევ სჩანს და სცემს ადამიანის სული, იგი თითქმის უმთავრესია თვისი მოძრაკის სიცოცხლით და ძლიერის ენებით.

აქ ბუნება უბრალო ჩარჩოა, ფონი, რომელშიაც ძლიერად სცემს ადამიანის სიცოცხლე. დღეს ეს აქტიობა თითქოს მომკვდარა და ახალი მწერლობა მას სრულებით განზე სტოვებს. ასეთივე შეიქმნა თითქმის ახალი თეატრიც. თუ ოდნავ დაუკვირდებით, შეამჩნევთ, რომ არას დროს ასეთი დიდი ყურადღება არ ჰქონია მიქცეული სურათებსა და დეკორაციებს, როგორც დღეის თეატრში.

შესაძლოა, ამის მიზეზი გემოვნების და ესთეტიურ ალღოს გაწვრთნაც იყოს, მაგრამ,

დამსახურებული მსახიობი
ვას. ალ. აბაშიძე
(დაბადებიდან 60 წლის შესრულების გამო)

ცხადია, ეს მიზეზი უფრო ღრმაა და მისი შინაარსიც უფრო გასაგები გახდება ჩვენთვის, თუ აღნიშნულ მოვლენას დავაკვირდებით.

ძველად თეატრში უმთავრეს ყურადღებას იპყრობდა მსახიობთა მოქმედება და უფრო მეტად კი ერთი მათგანის, რომელიც იყო გმირი და რომლის ხასიათის რომელიმე მხარე აძლევდა მთავარ ტონს პიესის მსვლელობას. დღეს კი ასეთი პიროვნება ფანტასტიურად მიგვაჩნია და თვით მსახიობთან ერთად მთავარ ყურადღებას ვაქცევთ პიესის მხატვრულ სახეს, მის სურათებს, კერძოდ დეკორაციებს, თითქოს ის, რაც მოქმედებაში ვერ ახსნეს და განმარტეს ავტორმა და მსახიობმა, უნდა გაიშალოს ამ სურათებში, მხატვრობაში..

დღეის თეატრი უმთავრესად ფსიხოლოგიურ მომენტების თეატრია და თვით თამაშიც მარტოოდენ ფსიხოლოგიურ ანალიზის სახით ამოიწურება, მას აქტიობა აკლია.

ჩვენი ცხოვრების ძველი ურთიერთობა დაირღვა და მის ნანგრევებზე მყოფ თანამედროვეთ იჭვი და ანალიზი იპყრობს, ნებას რეფლექსია ღრღნის. აქტს ეს ანალიზი და იჭვიანობა ჭკლავს და ჩვენაც მარტოოდენ ოხვრა და კვნესა გვესმის.

არ არის მოქმედება, იმიტომ რომ ჯერ არ განმტკიცებულა რწმენა, რომელიც რელიგიად უნდა იქცეს და ახალ ცხოვრებას საფუძვლად დაედოს. და თითქოს, შეშინებულნი, დროთა მსვლელობას ვაძლევთ ჩვენს თავს ენება-მიმქრალნი.

ამ საზოგადოებრივ ინერციას სახავს დღეს ჩვენი ხელოვნებაც...

აკაკი ჭაჭავა

ნაწყვეტები

—

ვნახე ახლად ჯვარდაწერილნი. ხელ იხელ ჩაკიდებული მიდიოდენ და თან ერთმანერთს თვალებში უღიმოდენ. სიყვარულით აღვსილი გული თავისიცემით ტანისამოსს არხევდა და განუზომელ ნეტარების ნექტარში ჰბანდა მთელს სხეულს.

— შენ ხომ ჩემი ხარ, მარტო ჩემი? ჩასჩურჩულებდა ცოლი და ხელზე ხელს უჭერდა.

— შენ ხომ მარტო ჩემი ბედნიერება ხარ, მარტო ჩემი ნეტარება, ჩემი სიყვარული, ჩემი სიხარული? ღიმილით ეკითხებოდა ქმარი.

თუ სადმე იყო ქვეყნად ბედნიერება, ის ამათთან იყო ამ ჟამად.

თუ სადმე იყო ქვეყნად ნეტარება, ის ამათ ძარღვებში სჩქეფდა.

ბედნიერები იყვენ. მე მშურდა მათი ბედნიერება...

მე შევხდი მათ რამდენიმე წლის შემდეგ სადგურზე. ქმარს ცოლი აცილებდა.

— მომეწყინება უშენოდ. ეუბნებოდა ცოლი.

— ბავშვები გაგართობენ, მეც მალე მოვალ. უპასუხებდა ქმარი.

იმათ ლაპარაკს გულის სითბო აკლდა.

მატარებელი დაიძრა. ცოლი სწრაფად გამოტრიალდა. პირველი კლასის ოთახში მაგიდას მოუჯდა, ამოიღო რიდიკულიდან ქაღალდი და დაიწყო აჩქარებულად ფანქარით წერა:

„ჩემო სულიკო! ის გავისტუმრე. სამი დღე მოვისვენებ. ამაღამ გელი უკანა კარებიდან.

შენი კრუწნა გენაცვალა შენ.“

პირზე ღიმილით დაკოცნა წერილი, ჩასდო კონვერტში და გაატანა შიკრიკს.

— ახლავე მიუტანე! მიაძახა უკან.

ამოვიოხრე. მე აღარ მშურდა მათი ბედნიერება. აღარც მენატრება ვისიმე სიყვარული.

—

მე ვნახე ცოლქმარი. ტყის პირს ერთმანეთს მოჰხვეოდენ და ტუჩებით ერთიმეორეს შეჰკონებოდენ.

მე ვერ წარმომიდგენია ჩემი თავი უშენოდ, ჩემო ნეტარებავ, ჩემო სიცოცხლე! ჰბუტბუტებდა ალერსის ტალღებში მონავარდე ცოლი.

— მინდა, შეგედულო, შეგეწებო, რომ ორივე ერთხორცი ვიყოთ, ერთს სხეულში შეერთებული! — ეუბნებოდა სიყვარულის ალში გახვეული ქმარი.

ისინი ბედნიერები იყვ́ენ, ციურ სიტკბოებას განიცდიდენ, წყაროს ნეტარებისას ეწაფებოდენ.

შემშურდა ამათი ბედნიერება...

მე შევხდი მას რამოდენიმე წლის შემდეგ. სხვა კაცს მისდევდა, ხელი მკლავში გაყრილი, და თვალებში შესცქრიალებდა.

ქმარს უკვე გაჰყროდა და ეს აერჩია იმის გულს.

ამოვიოხრე. მე აღარ მშურდა მათი ბედნიერება. აღარც მენატრება ვისიმე სიყვარული.

—

მე ვნახე მიცვალებული. როდესაც კუბო საფლავში ჩაუშვეს, ცოლი შიგ ჩახტა და კუბოს დაეკონა. ძლივს ააგლიჯეს.

— რა გინდათ, გამიშვით, გევედრებით, ამასთან ერთად მომაყარეთ მიწა. უამისოდ სიცოცხლე არ მინდა, არ შემიძლია. ემუდარებოდა ის ყველას. იმის თვალებში ზღვასავით ღრმა სევდა იხატებოდა. მე შევნატროდი კუბოში მდებარე ქმარს: ის ხომ ასე მძლავრად უყვარდა ცოლს!....

შევხვდი მას რამდენიმე წლის შემდეგ თეატრში. მეორე ქმარს ამოსჯდომოდა გვერდში და იმის სახეზე სრული კმაყოფილება ბედისა იხატებოდა!.

—

სოფლად ვიყავი. ჩემი ფანჯრის წინ კუნელის ტოტზე ჩიტს ბუდე გაეკეთებია. დედალი კვერცხებს ეჯდა. მამალი თავს ევლებოდა, ნისკარტს თავზე უსვამდა. შეჟღურტულებდა, უალერსებდა — ხან შორს გავარდებოდა ისარივით და მალე გაჩნდებოდა ჭიაღუით და კრაზანებით ნისკარტ-გამოტენილი: თავის სულის სატრფოს ჰკვებავდა!

ბედნიერები იყვენ და მეც მათთან ერთად ვსტკბებოდი მათის ბედნიერებით. ერთ დღეს გულ-შემზარავი წრიალი მომესმა. გამოვიხედე. წყეული მიმინო თავს დასცემოდა მამალ ჩიტს, ჭვანგები გაეყარა გვერდებში და გაეტაცნა.

გულმა ტკივილი იგრძნო. თვალები დავხუჭე. მაგრამ ყურებში დიდხანს გაისმოდა ჩიტის საბრალო, გულმოსაკლავი წრიალი.

გაიარა რამოდენიმე საათმა. გამახსენდა დედალი. შევხედე ბუდეს. კვერცხებზე აღარ იჯდა.. ბუდის გვერდით დაჰყუდებოდა ტოტს და უძრავად იყო თავჩაქინდრული, თითქოს მისთვის აღარაფერი აღარ არსებობდა. დიდხან ვუმზერდი მას. ის უძრავად იყო. მზე ჩაესვენა. დაღამდა. ჩიტი არ ინძრეოდა.

მეცოდებოდა. თან მაკვირვებდა მისი საქციელი. გათენდა თუ არა, მაშინათვე ჩიტი გამახსენდა. შევხედე ტოტს. ჩიტი იქვე იჯდა იმავე მდგომარეობაში, უძრავად, თავჩაქინდრული.

ნეტავ, როდემდის უნდა იჯდეს ასე, ნუთუ არც საჭმელი ახსოვს, აღარც სასმელი?

ამგვარ ფიქრებში ვიყავი გართული, როდესაც ჩიტი შეინძრა და ტყვიასავით ძირს წამოვიდა.

მე გავექანე იმისაკენ. ის გულაღმა ეგდო თვალებ-დახუჭული და ნისკარტში სისხლი წამოსდგომოდა.

საბრალოს ჯავრისა და მწუხარებისაგან გული გაჰხეთქოდა....

ბევრმა ხანმა განვლო მას შემდეგ, მაგრამ ეს სურათი დღესაც ცოცხლად მიდგია თვალწინ...

რატომ მეც ჩიტად არ დავიბადე!

ამპლუა

(იხ. „თეატრი და ცხოვრება“ № 7)

ყოველ ადამიანს აქვს ესრეთ წოდებული ტემპერამენტი. ამ საზომს, თვით ბუნებისგან მონიჭებულს, ვერ გადასცდება იგი ვეროდეს. ამ მის ტემპერამენტში კი მარხია სათავისო ახალ-

გაზდობაც, სიბებრეც, სიდინჯეც, სიმარდეც და სხვ. როგორც ტრაღიკული თვისებისა ეგრეევე კომიკურის. რაღა თქმა უნდა ზოგს უფრო გამოცხადებულად ახლავს ეს თვისებანი, ზოგს უფრო შენელებულად. ყურმახვილი და გრძნობა-ცქვიტი რეჟისორის ხელში ესეთი მდიდარი მასალა ადამიანის თვისებისა თავის დღეში არ დაიკარგება, თავის დღეში არ დაიჩრდილება. ამიტომაც ის არ გაჰყვება ცუდათ გაკვალულს ძველს ბილიკს ამპლუასას, რომელსაც ბევრი უსამართლობა მოსდევს ხოლმე, არამედ შეურჩევს მსახიობის ტემპერამენტს სამისო ხასიათის როლს და მას აასრულებინებს ბევრად უფრო მარჯვეთ და მორგებულად, ვიდრე ამპლუის დაცვით.

ეს ტემპერამენტის საკითხი, ჩემის ფიქრით, დიდი ხანია გადასჭრა მოსკოვის სამხატვრო თეატრმა და, როგორც ხედავთ, არც შემცდარა. თქვენ იქ ნახავთ, რომ კაჩალოვა დღეს თუ ჩეხოვის «ალუბლის ბაღში» სტუდენტს თამაშობს, ხვალ იულიოს კეისრის აღმასრულებელია და თუ სტანისლავსკი „კეისრში" ბრუტოსი იყო, ხვალ „ალუბლის ბაღში" შეუდარებელი გაეფია. როგორც მოგეხსენებათ ეს როლები ძველი ამპლუის მიხედვით სულ სხვა და სხვა დარგისანი არიან. მაგრამ ამითიც მტკიცდება, რომ საქმე ტემპერამენტი ყოფილა ე. ი. ის რეალური ძალა, რომელიც ყოველ ადამიანს შესდგამს, მაშასადამე მსახიობსაც და არა ამპლუა, რომელსაც დღეს მაინც რეალური ნიადაგი არა აქვს და მხოლოდ ძველი კილოვნების ნარჩენია.

ამპლუას ცუდი და მავნებელი მხარე კი ის არის და იმიტომ უნდა გავილაშქროთ მის წინააღმდეგ, რომ იგი იდეიურათაც აფერხებს მსახიობს და კომერციულადაც.

ვთქვათ ვინმე „მოარშიყე ამპლუის" არის. შეიძლება კომერციულად უზრუნველყოფილია, მაგრამ მხატვრულად იგი ერთ წერტილზე იყინება, ძალდება მხოლოდ ერთ ჩარჩოში, მისი ნიჭი ფრთას ვერა შლის და უკვე ერთჯერვე გამოკვერილი მიხვრა-მოხვრა, თავის გადგება, თვალების მონაბვა, როგორც მას, ისე საზოგადოებას აბეზრებს თავს. იმავ დროს კი ტემპერამენტს რომ მიჰყოლოდა ესეთი მსახიობი, რა დიდი სარბიელი იყო მის წინ გადაშლილი, რა ვრცელი ასპარეზი მხატვრულ შემოქმედებისა. ასე, რომ ამპლუას ფარგალში მომწყვდევა ერთ-გვარ მხატვრულ სიკვდილსაც კი ჰგავს. ამიტომ იყო, რომ სცენის დიდი მხატვრები (როსსი, სარა ბერნარი, შჩეპკინი, აბაშიძე, ალექსი-მესხიშვილი) ამპლუის სრული ბატონობის დროსაც კი არ კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ ერთ-გვარი ‹ხასიათის› როლებით და მათი მხატვრული ალღო სხვადა-სხვა საუცხოვო ტიპებს გვიხატავდა.

მეორე მხრით კი აიღეთ რომელიც გინდათ სხვა ამპლუა. ის მოვალეა მხოლოდ განსაზღვრული დარგის როლები შეასრულოს და სხვა არა-რა. აქაც მხატვრული სიკვდილი. ამას კიდევ უნდა მიუმატოთ კომერციული დაჩაგრულობაც პირველთან შედარებით. მერმე რათ უნდა ხდებოდეს ესე? ხელოვნების საუცხოო, თავისუფალ ტაძარში დაჩაგრულობას რა ხელი უნდა ჰქონდეს? არა. «მიეცით ნიჭსა გზა ფართო!» ტყუილად არ არის ეს სიტყვები ნათქვამი და სად უფრო უნდა მძლავრად გაისმოდეს ეს სიტყვები თუ არ აქ, ჩვენს სამლოცველოში?!

ნუ დაიჩაგრება ნურავინ ნურც მხატვრულად, ნურც კომერციულად. ნუ მიეცემა პირველობა ნურავის ამპლუის მიხედვით, მიეცეს ღირსებისამებრ. ნიჭი და უნარი, ანუ ჩემის თეორიით გამოცხადებული ტემპერამენტი თავს არ დამალავს. ეს იქმნება უფრო სამართლიანი, რადგან შეხამებულ იქმნება თვით ბუნების მძლავრ და გარდუვალ კანონებთან და არა იმ წესებთან, რომელმაც დრო მოჭამა და რომელიც მხოლოდ უსამართლობასა ჰბადებს.

მართალია, სხვაგან, მოწინავე ქვეყნებში ჯერ მთლად არ მოსპობილა ამპლუას ბატონობა, მაშასადამე ჩვენ ქართულ სცენის მუშაკებს საიდან შეგვიძლია ერთის მოსმით დავგმოთ ტრადიცია. მაგრამ რატომ არ შეიძლება გავითვალისწინოთ, აკწონ-დავწონოთ ჩვენც თქმული გარემოებანი და ახლავ შევეცადოთ ჩვენშიაც უკეთესის დანერგვას.

რუსეთის ახლანდელ მსახიობთა ყრილობას, სხვათა შორის, დიდი შეხლა-შემოხლა აქვთ ამ საკითხზეც და რა დაშავდება, რომ ჩვენ ყველამ ვიზრუნოთ ამის შესახებაც. ყველამ— მოანტრეპრენიორე დრამატ. საზოგადოება რეჟისორებმა და მსახიობებმა.

შალვა დადიანი

„შენ არა გტირი!“

—

გოდება ქართვლის დედისა.

(თანამედროვე მოწინავე მამა-კაცს)

შენ არა გტირი! იმიტომ რომ შენ—**შენ** აღარ ხარ. თუმც არც მომკვდარხარ, მხოლოდ გარდიჰქმენ, გაილესე უკუღმართი ცხოვრებისა მღვრიე ტალღებში...

მაგრამ ვსტირი კი, დღე მუდამ ვსტირი, გზათ მიმავალიც მწარედ მივსტირი—მხოლოდ იმას კი, შენ რომ იყავი!

არსად გინახავს, ან არ გქონია ბრწყინვალე თვლებით მოჭედილი ძვირფასი ნივთი, ხმარებაში რომ ხან-გამოშვებით ამოვარდება ხან ერთი თვალი, ხან მეორე და ასე ბოლოს რომ ხელში შეგრჩება უბრწყინვალო, დაყურსებული ჩონჩხი ოქროსი, რომელსაც მხოლოდ დაკვირვებით ღა თუ შეამჩნევ გადაცვეთილ მხატვრულ სევადას, გამოცდილებით თუ ღა მიხვდები ყოფილ მშვენებას?!

ესევე სწორედ შენც შეგეცვალა სახიერება: ბრწყინვალე თვლები—ეს სული შენი თანდათანობით მოიცვა ბნელმა და დაჰკარგა მან თვის ანკარა, ცრემლის მზგავსი სპეტაკი ფერი და დარჩა მხოლოდ ოქროს ჩონჩხისა მინაგვარი სხეული შენი. აი, მას ვსტირი, იმა შეცვლილსა, იმა გარდაქმნილს არსებას შენსა.

სად არს ის გმირი, ჩემი ღვთაება, ოცნება ჩემი, რომელს ველტვოდი, რომლის ძლიერ სულს ვვემონებოდი ბორკილ დაყრილი? რომელსაც უნდა გამოეხსნა დამონებული ჩემი მშობელი და ასეთს იმის დიდებული მოვალეობის აღსრულების დროს, მისი ჭრილობის—სულიერის თუ ხორციელის—მალამოდ ყოფნას მთლად შევსწირავდი ჩემსა სიცოცხლეს, ვინაცვალებდი მებრძოლის მკერდსა! მწადს ვემსახურო ჩემს დატანჯულს, გვემულსა დედას, მსხვერპლად დავედო, კელეტარად გარს შემოვადნე მის წმიდა სულსა, მაგრამ სად ვნახო სამსხვერპლოის ღირსი ქურუმი, ვის კურთხეული, მარჯვე ხელი მისცემს მას ცეცხლსა?!

ის აღარ არის, არა და არა! დიდი ხანია, რაც გარდიქმნა, გაილესა უკუღმართი ცხოვრებისა მღვრიე ტალღებში...

ვაი მე ბედკრულს იმა გარდაქმნის მასში მომსწრესა და მასთან ერთად რწმენა დაკარგულს, იმედ-წარწყმედილს და მოსპობილსა! მთლად წარმეხოცა ის სასოება, რაცა მაძლევდა ამა სოფლად მიზანს ცხოვრების, ბრძოლისა ძალას და დავრჩი ობლად.

მარტო ვარ, მარტო! ოჰ, ნეტავი თუ შეედრება რამე იმ ტანჯვას, როდეს განიცდი სულის ოპლობას, ეთხოვები შენს ოცნებას ტკბილსა!

მარტო ვარ, მარტო, ყოვლად უძლური და დავრდომილი! ჩალად არ მიღირს ეს სიცოცხლე გაწამებული და ნუთუ ამას ცოდოთ მიმიღებს ან ზენაესი ან მიწიერი, რომ ვერ შევუძლო სასომიხდილმა იმ ჩემი კერპის დამსხვრევასა, რომლის მოლოდინს, რომელზე ლოცვას შევალიე უწმიდესი ჩემი გრძნობანი—და სამუდამოთ დავიდუმო ეს გული ჩემი დაწყლულებული?

არა მგონია, იმიტომ, რომ ცოდვა არ არის მოისვენოს ტანჯულმა სულმა!

მაგრამ ეს მითხარ, სად არის ძალა თავის მოსპობის? ის არის ხვედრი ან დიად პირის, ან სულ მსუბუქის, და პირველ ხარისხს მოკლებული, ვირჩევდი მდარეს, ოღონდ მოეცა საშვალება, რომ დამცხრომოდა ეს ღველფი გულში, აღარა ეგრძნო არსებას ჩემსა და აქ უმაქნისი სხეული ჩემი საფლავის ირგვლივ აღმოცენებულ ყვავილთ ხომ მაინც ასაზრდოვებდა!

მაგრამ ეს ბედი მაშ რის ბედია, უზენაესად მობოძებული, რომ არ აღსრულდეს შუბლს-წანაწერი! და აი ვიხდი მეც ჩემს-წილხდომილს უწყალო ბედსა, ვინაც გარდმიქმნა, შემიცვალა სულის ჩამდგმელი თავი შენი, ის ჩემი ყველა!

მარტო ვარ, მარტო! ოჰ, ბედო, შავბედო, სირცხვილი შენდა! იცი, მუხთალო, რა ჩაიდინე! ნუ კი გგონია იმითი, რომ გრძნობასა წმიდას თვით ჯოჯოხეთის სატანჯველსა ამა ქვეყნადვე განაცდევინებ, არა! იმითი, რომ შენ მოჰკალი ადამიანში—ადამიანი! რასა მიქვიან სამთვარიოსებრ აღსრულება ყოველდღიური მოთხოვნილების: სული ერთს ითხოვს, ხორცი მეორეს და ეს პირველი მანქანისებურ ემორჩილება მეორის სურვილს ბუნების კა-

ნონს. ძალა კი კვდება, ძალა მომქმედი, ვინაიდანა მას არა ჰყავს მისი მუდმივი გამღვიეებელი. გაჰქრა ის რწმენა, ადამიანსა, რომ მეგონა ერთს მთას დავძრავდი მეორისა შესაჯახებლად, ოღონდ მყოლოდი თვალ-წინ დამდგარი, თვით არშესაძლოს შესაძლოდ ყოფის, — როგორც მსურველი! მიტომ რომ ჩემსგან დასახული ის გმირი იყავ, რომელს ელოდა ჩაგრული ერი და რომელსაცა უნდა დაგეცხრო მრავალნაირი ჭრილობა მისი.

რადა ხარ, რადა ეგ უმოქმედო! რა ჯადომ შეგკრა? რა ბნელმა ძალამ დაგიმონა და დაგიხშო მშობლის ბედისთვის მუდამ მზრუნავი ნათელი შუბლი? რამ შეგიბოჭა, დაგიუძლურა მის დაფარვისთვის მუდამ მზად მქონი ძლიერი მკლავი? აბა, შეხედე, მიმოიხედე შენს გარეშემო, რა კვნესა ისმის! საცოდავობის ამის გამგონი, მტერი რა არის, ისიც მოლბებ! იცი, ვინ სტირის, ვინა ჰგოდებს აწყოზე და უფრო კიდევ მომავალისთვის? ის შენი ზაქრო! აი ის ზაქრო, მის სივაჟკაცე, მისი მხარბეჭი, მისი მახვილი, გამჭრიახი გონება რომ აღტაცებაში მოგიყვანდა და მის სისრულით გატაცებული — აღთქმას უდებდი მის მომავალის საუკეთესოდ შეცვლისათვის თავიც დაგედო! ახლაკი სტოვებ იმ ბედ-შავსა, ბნელით მოცულსა, გათახსირებულს, ნიადაგიდან დაძრულსა და უფსკრულზე მისულს და ე მაგ შენი გასაოცარი, საარაკო გულ-ციგობით, მთლად მოშვებული შენის არსებით, ლამის თითონვე ჰკრა მას ხელი და შიგ გადუშვა, არას დაეძებ!

და ის კი მოსთქვამს, შველას გიძახის მხსნელად დასახულს და არ კი უწყის იმ უბედურმა, რომ დიდი ხანია მას ულალატე!

საბრალო ზაქარო! მესმის მე, ძმაო, შენი კვნესა და შენი გოდება! მესმის და მწვდება ღრმად არსებაში, თვისი სიმწარით მთლად მიწიწკნის და მიღარავს გულს გაწამებულს, რა თვალთ მეშლება საზარელი მომავალი შენის ცხოვრების, მაგრამ... რა გიყო? აბა, რა ძალმიძს, მე უბედურს, ჩემის ობლობით დაუძლურებულს სუსტსა არსებას? აღარაფერი, არა და არა! ოოჰ, მარტო ვარ, მარტო, ფრთებ-შეკვეცილი! აი, რას ვსტირი! შენ არა გტირი! იმი ტომ, რომ შენ — შენ აღარ ხარ. თუმც არც მომკვდარხარ, მხოლოდ გარდიჰქმენ, გაილესე ცხოვრებისა მღვრიე ტალღებში...

ნინო ყიფიანისა

ხმა გუნეგისა

(უძღვნი ოლ-ოლს)

ზამთარია. ჰყინავს. თოვლი თეთრ საბნად ეფინება აკანკალებულ დედა-მიწას. წყლები გაყინულა. 8 წლის ბავში, თბილად ჩაცმული, მხიარული დაცურავს ყინულზე უშიშრად.

— ნუ თუ არ გეშინიან დაცემისა, პაწიავ? — ეკითხება მნახველი.

— სრულიადაც არა! მე მფარველობს თვით ძლიერი ზამთარი, რადგან იგი მეგობარია გულადებისა! — უპასუხებს ლოყებ-წამოწითლებული ბავშვი...

გაზაფუხულია. ბუნება იფშვნეტს თვალებს, იღვიძებს; იბანს ნამძინარევ პირს გრილ შხაპუნა წვიმით და ირთვება მხიარულს მწვანე სამოსელში; ჰკაზმავს თავის თბილ კალთებს ლამაზ, სურნელოვან ყვავილებით და ეპატიჟება მომღერლებს გასართობად; ესენიც ასხავენ მას ქება-დიდებას. მღერის მთელი დღე 8 წლის ბავშვიც.

— ნუ თუ არ დაგეღალა ხმა, შვილო, ამდენი სიმღერისაგან? - ეკითხება მობეზრებული მშობელი.

— სრულიადაც არა! მე როდი ვმღერი; მღერის ჩემი გული გაზაფხულთან ერთად...

ზაფხულია. მზიანი დღეა. ქარი, ხანგრძლივ შრომით მოწყვეტილი, მისცემია მოსვენებას. ზღვის ნაპირზე ქვიშა გახურებულა და უწყალოდ იკბინება. მასზე გორაობს მთლად ტიტველი 8 წლის ბიჭი.

— ნუ თუ არ გრცხვენიან ადამიანისა, მაგოდენა ბიჭი ხარ? — ეკითხება შემთხვევით გამვლელი.

— სრულიადაც არა! ვეთამაშები მჭის სხივებს; ისინიც ხომ ტიტვლები არიან! — უპასუხებს ბავშვი.

გაოცებული ადამიანი ჰშორდებ მხრეების წვივთ...

შემოდგომაა. ცა უნუგეშოდ სტირის. მზეს სთვლემს. ბავშვს ძილის დედა დასწოლია. დროზედ ვერ იღვიძებს სამუშაოდ.

— ნუ თუ ეხლავე ზანტობ, ბიჭო! — მიჰმართავს მას დედა.

— სრულიადაც არა! თუ კი ბუნებაც ეხლა ძილის ფიქრშია, ადამიანი რაღაა?! — უპასუხებს ბავშვი...

ოხ, ადამიანო! როგორ არ გესმის, რომ არაა ჯერ ჩაკლული ბავშვში ბუნებრივი გრძნობანი?!

დავ. ცილოსანიძე

მისი იმპ. უმაღ. დ. მ. კონსტანტინე კონსტანტინეს ძე (კ. რ.)

ავტორი პიესის „**მეუფე ურიათა**“, **იოსებ არიმათელის** როლში.

მეუფე ურიათა

დრამა ოთხ მოქმედებად და ხუთ სურათად, **კ. რ-სა**, თარგ. **კ. მესხის**-მიერ.

მოქმედნი პირნი:

პონტოელი პილატე, კეისრის მოადგილე ურიასტანში.
ფროქულოსი, ამისი მეუღლე.
იოსებ არიმათიელი } სინედრიონის წევრნი.
ნიკოდიმოსი }
იოანა, მეუღლე იროდის ეზოს მოძღვრისა.
რომაელი ჯარის უფროსი.
პირველი ლეგეონის ტრიბუნი.
მეორე ლეგეონის ტრიბუნი.
ასისთავი.
სადუკეველი.
1 }
2 } **ფარისეველნი.**
3 }
4 }

სიმონ კვრინელი, იოსების მებაღე.
ალექსანდრე } ამისი შვილები.
როფე }
ლია, ურიასტანელი, მხევალი ფროქულოსისა.
ბარტიმეოსი, სოფელელი.
იოსების მოსამსახურე.
გზირის ხმა.
ლევიტის ხმა.

ხალხი ორივე სქესისა; ნელ საცხებელის მტარებელნი; ყვავილების გამყიდველნი ახალგაზდა ქალნი; ასურეთის მხევალნი და ყმანი; მოცეკვავენი უსიტყვოდ: მხედარნი; ყმანი.

მოქმედება იერუსალიმში ვნების კვირის განმავლობაში—ქრისტე-მხსნელის აღდგომამდე.

მოქმედება პირველი

ქალაქის კედელთან; თავისი ზედ-კოშკებით მიდის მარცხნით სიღრმეში. პირველ პლანზე დიდი კარებია; კარების ზევითა თავი მოსჩანს, ძირი-კი სცენის ქვეშ იმალება. გზა ჯერ არ მოსჩანს, მაგრამ თანდათან მაღლდება და სცენის იატაკს უსწორდება სცენის შუა-ადგილის ცოტათი მარჯვნივ. აქ გზა უხვევს მარცხნივ და სულ ზევით-ზევით მიდის ვიწრო გასასვლელამდე, რომელიც უკანა პლანზე სიღმრეშია მოთავსებული. აქედან გზა ერთბაშად მოუხვევს მარცხნივ და სცენის სიღრმეში მიდის რამპის პირდაპირ—ქალაქის კედლამდე და გაუვლის რამდენიმე სხვადასხვა სავაჭრო დუქნებს, რომელნიც ჰფარავენ მარცხნივ სიღრმის იქით სანახაობას. ფარდის ახდაზე დუქნის ბანები სავსეა ხალხითა. მარცხნითვე ფართო ზეთის-ხილის ხეა, რომლის შტოების ძირში ორი კაცი თავს შეიფარავს. ამ ხის ძირში თითქოს შეზრდია დიდი ქვა, რომელსაც ხმარობენ დასაჯდომად... აქედანვე ზევით მარცხნით მიდის ვიწრო კიბე, რომელიც უერთდება ზევით მიმავალ გზას. მარჯვნივ ქვისა არის წყარო. ამის პირდაპირ, მარჯვნითვე. ასისთავისა და მის მხედრების სადგომია. ეს სადგომი უერთდება შენობას, რომელშიაც ზემოდ მოხსენებული ვიწრო გასასვლელია. ამ შენობების გასწვრივ რამდენიმე საროს (ალვის) ხეა ჩარგული მარჯვნივ ავანსცენაზე კუთხეში ქვის სკამ-ლოგინია. საღამო ხანია. ფარდის ახდამდე მოისმის აღტაცებული გუგუნი და ხალხის ხმაურობა.

გამოსვლა პირველი

სცენა სავსეა ხალხითა. ბევრს ბზისა და ზეთის-ხილის შტოები და ყვავილები უჭერია ხელში. გზა, რო-

მელიც მოსჩანს ვიწრო გასასვლელთან, მოფენილია ვარდებით, მწვანეულობით და ზემო მოსასხმელებით. სცენის გარედამ მოისმის ყვირილი. თანდათან ეს ყვირილი გადიქცევა საერთო სიხარულის გუგუნად და აგერ-ეგერ გამოისმის ცალ-ცალკე წამოძახილი.

პირველი (ხალხიდან). ოსანა ძესა დავითისასა!
მეორე. ოსანა! კურთხეულ იყოს იგი
მომავალი სახელითა უფლისათა!
პირველი. ოსანა! რომელი ხარ მაღალთა შინა!
მეორე კურთხეულ იყოს მეუფე ჩვენი!
პირველი. მშვიდობა ცათა შინა,
დიდება მაღალთა შინა.
მეორე კურთხეულ არს მომავალი მეუფე
სახელითა უფლისათა!
მშვიდობა ცათა ზედა
და დიდება მაღალთა შინა!—
მესამე. ვინ არის ეგე?
პირვ. გალილეველი!
მეორე. მოციქული...
პირვ. ნაზარეთიდან
მოვალს იესო, დიდი მოძღვარი!
პირვ. ქალ. აი ხომ ხედავთ... იმისი კიცვის
ფეხის კვალია...
მეორ. ქალ. მე დავუფინე... ზედ გადიარა!
პირვ. ქალ. მომეც მანდილი ეგე სახსოვრად!
მეორ. ქალ. ოჰ, არა, არა... თვით შევინახავ...
მოციქულისა სახსოვრად ამას!!!
(ყიჟინი თანდათან წყნარდება)

სადუკ. მატყუარაა იგი და გჯერათ:
კეისრის უღლის მოგლეჯა შესძლოს
ამ მათხოვარმა და ხელთ მოიგდოს
დავითის ტახტი?
ბარტიმეოს. არა ყოფილა
დავითი მეფეც ხარისხოვანი:
გუშინის მწყემსი — დღეს მეფედ იქცა.
პირ. ფარის. ოჰ, საზიზღარო!.. ამ მაწანწალას
შენ მეფე დავითს განა ადარებ?!.
მეორე. ის გაცოფებულთ სიტყვით ამშვიდებს!
პირვ. იგი კეთროვანთ ჰკურნავს სრულიად!
მეორე. მოძღვარმა შესძლო მკვდრეთით აღდგენა!
სადუკ. ეგ დედა-კაცთა მოჭორილია...
სასწაული მხოლოდ სულელთა სწამთ..
პირ. ქალ. მაშ არ ვერწმუნოთ, როს ბრმად შობილს
საჯაროდ თვალნი მან აღუხილნა?
მეორ. ქალ. ჭაბუკი ვინმე — დედისა ერთა
სიკვდილს ხელიდამ მან გამოჰგლიჯა!!
პირე. და იაირის სინაგოგისა
უფროსის ქალი ხომ აღადგინა
სარეცელიდან?!.
მეორ. ფარის. მოძღვარი თქვენი მატყუარაა!..
არც მოციქული, არც დავითის ძე!
(აღგზნებული ხალხი აჰირობს მისკვას)
ბართიმეოს. ეგ შეურაცხყობს ჩვენს დიდებას!
პირვ. ჰსურს მოციქული მან შეგვიბღალოს.
მეორ. ფარის. დაჩუმდი ახლავ! ვინ მოგცათ ნება
მას უწოდებდეთ თქვენ მოციქულად?
პირ. ფარის. არა არს იგი უფლისაგანა...
ცრუ-მოციქული და ცრუ-მოძღვარი.
პირვ. როგორა ბედავ ხე წარმოგზავნილს
ეგრე უწოდო?
პირ. ფირის. შენ როგორ ბედავ
წარმოგზავნილი უწოდო იმას?!
მეორე. სამარიელო!
პირველი. ქოფაკო ძაღლო!
მეორე. გასწით შორს ჩვენგან!
მესამე. შორს უწმინდურნო!!
პირ. ფარის. იქით!!
პირველი ქვებით ჩავქოლოთ ესენი!!
სადუკევ. (მორბის ჯარის სადგომთან) აქეთკენ!
მეორ. ფარის. ჩქარა მოგვეშველენით!
(ხალხი მუქარით ქვებს დასწვდება)

გამოსვლა მეორე

შემოვლენ **ასისთავი** და რამდენიმე **მხედარი.**

ასისთავი. რა ყვირილია?!
სადუკევ. კეთილშობილო
მეომარო! ჩვენ ვერ ვურიგდებით
ამ შავ ხალხის აზრს. ამათ სწადიანთ,
მაწანწალა, გლახაკი ვინმე
თავიანთ მეფედ გამოაცხადონ!
ჩვენ კი გვრწამს მხოლოდ ერთი ხელმწიფე
პირ. ფარის. მეუფე ჩვენი და თქვენიც ერთად!
მეორ. ფარის. დღეგრძელი იყოს ტიბერიოსი.
პირ. ფარის. ყოვლად დიდება ჩვენსა კეისარს!!
ბარტიმეოს ოჰ! პირ-მოთნენო!..
პირველი. მლიქვნელნო ენით!!
მეორე. მზად ხართ გაჰყიდოთ ერი და ხალხიც,
ოღონდ თქვენ თბილად მოითბანუროთ!
(ხალხში დრტვინვა)
ასისთავი. შიში არა აქვს ჩვენს კეისარსა
ვილაც ქადაგის! აქ კი ყოველ-დღე
შფოთი და ჩხუბი მეყვსეულად გაქვსთ.
დღეს კიდევ არ იქნა ასტეხეთ ხალხი
მოციქულისა ცუდათ ხსენებით!
გიჯობთ წახვიდეთ... აქაურობას
განშორდეთ სრულად!
(სადუკევლნი და ფარისეველნი გავლენ)

გამოსვლა მესამე

ასისთავი (ხალხს). დაწყნარდით თქვენცა!
ვისაც-კი ხელში ქვა დაუნახოთ,
მყის წაათრიეთ საპყრობილეში!
(გადის, მხედარნი რამდენიმე კაცს გაიყვანენ. ყურ-
ზაური მთისმის)

გამოსვლა მეოთხე

პირველი (ხალხიდან). ძალ-მომრევნო!
მეორე. და ავო-ბოროტნო!
მესამე. ჯალათნო! განა დიდხანს გვედგმის
მძიმე უღელი რომაელების?!
პირველი. მესიამ გვიხსნას ურჯულოთაგან!
პირ. ქალ. მეუფედ გახდეს ნაზარეველი
და ყველას გვიხსნის!!
მეორე. მოვესწრობით-კი?

(სცენა ცარიელდება. ბართიმეოსი მარცხნივ გადის.
მზე ჩადის — არე-მარეს მოეფინება ოქროს ფერი
სინათლე. გამოდიან იოსებ და ნიკოდიმოსი)

კ. მესხი

(შემდეგი იქნება)

მწერალი ეგ. ნინოშვილი

(გარდატეხებიდან 20 წ. შესრულების გამო)

ტანჯულთ მგოსანი

(დეგენდა)

„ხალხის გულის მესაიდუმლის“

ეგ. ნინოშვილის ხსოვნას.

I

ცხოვრებდა აღმოსავლეთის ერთ სამთავროში მგოსანი... მგოსანი ერის მოჭირნახულე, მგოსანი მესაიდუმლე ღარიბ-ჩაგრულთა... მისი სიტყვა ყველას გულში ხვდებოდა—ყველას აღელვებდა, ამიტომ არ მოსწონდა მისი გაბედული ხმა ძლიერთა ამა ქვეყნისას—და მოინდომეს მისი დაღუპვა.

მხოლოდ რამდენიმე ლექსი შეეთხზა ხალხის ჭრილობის გასაკურნავად—და ხალხი მის სახელს ადიდებდა, გუნდრუკს უკმევდა...

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს იგი შეიპყრეს. მას მიუსაჯეს მუდმივი ციხე. მას წაართვეს მშობლიური ჭერი, სოუსპეს დღის სინათლე, მოსტაცეს ყოველივეს და ბნელ საკანში, რომელსაც მხოლოდ ზევიდან ერთი სანათური ჰქონდა, ბინა მიუჩინეს; იქიდან აძლევდენ საჭმელ-სასმელს, იქიდან სთავაზობდენ მზის სხივების ელვარებას.

ზის ბნელს საკანში მგოსანი და ნაღვლიანად გამღერის თავის ცხოვრების სიდუხჭირეს.

ხანდახან აღფრთოვანება გაიტაცებს, ჰსურს კალამს ხელი წამოავლოს და შექმნას რამე.

წარმტაცი, მშვენიერი... მაგრამ... სად არის კალამი, მელანი, ეტრატი? გაახსენდება, რომ იგი საკანში ზის და ნაღვლიანი ბორკილების ჩხარუნით თივაზე დაეშვება... დაეშვება და სევდიანი ღიღინებს.

2

საპყრობილეს დარაჯს ერთი ასული ჰყავდა, ლამაზი, თვალწარმტაცი, ჯერ სულ თექვსმეტი გაზაფხულის ნაზარდი... მისი გული ლაღი და უდარდელი იყო. მან არ იცოდა სევდა, არ იცოდა ბოღმა... ჯერ კიდევ ფეხშიშველი დახტოდა ყელმოღერილი მინდვრებში და ხან ბატებს მწყემსდა, ხან თხებს.

უდარდელი იყო... უდარდელი. დილიდან საღამომდე შინ ვერავინ ნახავდა.

ერთხელ გაზაფხულის საღამოს, როცა მინდვრიდან ბატები მოასხა და ნაზი ღიღინით, სახრის ქნევით, ციხის ეზოში მამასთან შევიდა, რაღაც სევდიანი ხმა მოესმა...

დიდი ხნის ძებნის შემდეგ, ფეხაკრეფით იმ ადგილს მიუახლოვდა, საიდანაც მწუხარე ჰანგი ისმოდა.

დაუკვირდა. ყური მიუგდო. რაღაც უჩვეული გაიგონა.

ეს დატყვევებული მგოსნის ხმა იყო, რომელიც თავის ცხოვრებას ნელი ხმით დაჰკვნესოდა..

ასული ქვავდება... ულმენს და თვალებიდან მარგალიტი ცრემლი სწყდება. პირველად მის გულში იღვიძებს რაღაც ძალა, რომელიც მას აკრთობს...

იგი დიდი ხნის შემდეგ შორდება მომჯადოებელ ადგილს, რადგან შეწყდა მგოსნის ხმა... შორდება, მაგრამ ოცნებით ისევ იქ არის....

გადიოდა დღეები... ასულმა დაჰკარგა თავისი სიცელქე. სულ მგოსნის სევდიანი ხმები ჩაჰრიკრიკებდა ყურში... ჩასწიოდა... და იგიც მთელი დღეები სევდიანი დაფარფატებდა მინდვრებში; საღამოს ჟამს კი ფეხაკრეფით მიუახლოვდებოდა საკანს და ჩუმად თვალცრემლიანი ისმენდა დატყვევებულ მგოსნის სევდიან ღიღინს...

3

— ოხ, რა კარგია, მომცა ორბის ფრთა კალმად, ბატკნის ტყავი—ეტრატად, კვიდოს *) წვენი მელნად, რომ აქ—საკანში შევქმნა უცხო

*) კვიდო—მცენარეა.

პოემა, რომელიც სულს შთაბერავს ტანჯულ-გვემულ ხალხს; ასწავლის ძმობა, ერთობა, სიყვარულს. ოხ, რა კარგია...

ასე გამღეროდა ნელის ხმით მგოსანი... ესმა ეს ხმა დარაჯის ასულს და ატოკდა..

რა ქნას? სად იშოვოს ორბის ფრთა, ბატკნის ტყავი, კვიდოს წვენი?!

უცებ ფიქრმა შთანთქა... რაღაც მოაგონდა.

ასული მიხვდა, მიხვდა, რომ სხვერპლია საჭირო... გაიგო, რომ მოსიყვარულე გულს ყოველივე შეუძლია და ღიმილით დაუყვა ქალაქის ვიწრო ქუჩებს...

დიდხანს იარა... ბოლოს ვიწრო კარები შეაღო და თვალცრემლიანი მოხუცი მოგვის წინ დაეცა..

— ჩქარა დამაძინე, მოიტა ბასრი და მთელს ზურგზე ტყავი გადამაძვრე.. იცი, ტყავი გადამაძვრე ფრთხლად, მერე გამოქენი, დაამზადე, რომ საწერ ეტრატად ივარგოს..

გესმის?!

მოხუცი კითხვის ნიშნად გადაიქცა...

— ჩქარა, გესმის? შესძახა ქალმა... გასამრჯელოდ ის აიღე, რაც შენც თრთოლვას გგვრის... რაც ისე გინდა წამლებისთვის, მაგრამ ვერ გიშოვნია..

მოხუცი უფრო გაშტერდა..

— მე ქალწული ვარ! გესმის? მაშ ნუღა აყოვნებ! შესძახა ქალმა და ტანსაცმლის ძრობა დაიწყო..

ახლა კი მიხვდა მოგვი, რა ბედნიერება მიადგა კარებზე... ასული ნელა დააძინა, ბასრით ზურგზე ტყავი გადააძრო... ქალწულის დაღვრილი სისხლი წამლებისთვის შუშებში მოაკროვა, მერე ჭრილობა შეუხვია, რაღაც შეულოცა...

და როცა მშვენიერ ასულს გამოეღვიძა, ტკივილს სრულიად არ გრძნობდა; მოგვს დაქნილი ტყავი გამოართვა და საკნისკენ გამოეშურა... გზაზე ბატის ფრთა იპოვა, შინ მივიდა, ბასრი მოიპარა და იმ დროს, როცა მგოსანის უკანასკნელი ჰანგის აკორდი გაისმა, ასულმა სანათურიდან ნივთები საკანში ჩაყარა..

შესწყვიტა მგოსანმა სიმღერა. მას არც კი შეუმჩნევია ჩამოყრილი ნივთები, დაღლილმა უკანასკნელად ამოიოხრა და თივაზე მიწვა...

4

დილას, როცა ცხოველმა მზემ ოქროს ფერი სხივთა კონა საკნის სანათურში შეაპარა და იქაურობა მკრთალად გაანათა, მგოსანმა თვალი მოჰკრა რაღაც შეხვეულ ნივთს... მის სიხარულს საზღვარი არ ქონდა, როცა ბასრი, ბატის ფრთა და საკმაო დიდი ეტრატი იპოვა... მაგრამ მელანი სადღაა?! ჩაფიქრდა მგოსანი... შუბლი დაესერა... უცებ გაიღიმა, სიხარულით გამოსჭრა კალამი, თეთრი ტყავი მუხლებზე გაიშალა, გულისპირი შეიხსნა და მკერდზე დანის წვერი იჩხვლიტა... ჩაუწო შიგ კალამი და დაიწყო პოემის წერა.—ყველაფერი დაავიწყდა მგოსანს, ყველაფერი. სწერს იგი გატაცებით თავისი სისხლით ტანჯული ხალხის ყოფაცხოვრებას... სწერს თავის სისხლით. სწერს და ოხვრასთან ღიმიც გაუთამაშებს ხოლმე ტუჩებზე. გადის დღეები.. აი, პოემა სრულდება. მგოსანი იღიმის.. მაგრამ როცა უკანასკნელი სტრიქონები უნდა დაეთავებია, კალამმა მუქად დაიწყო წერა.. მიხვდა იგი, რომ სისხლი გამოელია, მოიკრიბა ძალა, რამდენიმე წვეთი სისხლი კიდევ გადმოღვარა, მოიპარჯვა კალამი და პოემაც დასრულა... უკანასკნელმა ღიმმა გაუთამაშა გალურჯებულ ტუჩებზე... შეახვია ეტრატი,—თივაზე გაწვა, გულზე დაიდვა ძვირფასი განძი და სული დალია...

5

დარაჯის ასული ლანდივით გამოჩნდებოდა ხოლმე მის საკანთან... მიუგდებდა ყურს და ნელი ოხვრა ესმოდა ხოლმე.. ბოლოს ისიც შეწყდა... ველარ მოითმინა ასულმა, იშოვა სადღაც ნაგლეჯი ტყავისა, ზედ დაწერა:

„ტრფობამ თექვსმეტი წლის ასულს ზურგზე ტყავი გადამაძრო და შენ მოგართვა, მგოსანო, რომ ზედ დაგეწერა პოემა ჩაგრულ-ტანჯულთა... რას შვრები? თუ დაამთავრე, მომე, ხალხში გავიტან. დაე, ციხიდან ისმინოს შენი ტკბილი ხმა მშობელმა ერმა“... ჩაუშვა... უცოდის... ჩუჩუნიც არ ისმის. გადის დღეები... თვეები... დარაჯის ასული დნება... ბოლოს ველარ აიტანა ამდენი ლოდინი და დილას მკვდარი იპოვეს...

6

გავიდა ხანი. მონობა და ბატონობა ქვეყნად კიდევ არ იყო მოსპობილი, რომ დატყვე-

ვებული მგოსანი მოიგონეს. როცა საკნის კარები გააღეს, იპოვეს მგოსნის ძვლები. გულის ჩონჩხზე კი იდვა შეხვეული ეტრატი... იქვე იპოვეს დარაჯის ასულის წერილი... გახსნეს მგოსნის ეტრატი და წაიკითხეს, ეტრატი ასე იწყებოდა: „მელანი რომ ვერ ვიშოვე, ღიმით ავიჭერ მკერდი... შიგ ვუწებ კალამს და ვიწყებ ამ პოემის წერას“...

და ასე თავდებოდა: ,,დასრულდა... ჩემი სიცოცხლით შევქმენი ეს პოემა. ჩემი სისხლით დავსწერე. შიგ მოთხრობილია საიდუმლოება ტანჯულ-ჩაგრულთა... მოიგონეთ ამის დამწერი, რადგან მან თვისი სისხლით გასწმინდა სევდა გვემული ხალხისა“...

დია ჩიანელი

სომხური დრამ. დასის დამსახურებული მსახიობი
გ. ტერ-დავთიანი
(40 წ. სასცენო მოღვაწეობის გამო)

ს ა ს ა ფ ლ ა ო ზ ე

(სურათები)

მკრთალი შუქი მთვარისა ნათელ-კაეშნიანი
მკვდართა უხმო სავანეს მკერდზე გადაჭფენია
და ნიავი ჩურჩულებს საიდუმლო ხმიანი...
ხის ფურცლებსა ცვარ-ნამი ცხარე ცრემლად სდენია.
ვდგევარ უხმოდ... დავცქერი მკვდართა ბინა-სადგურსა,
დროთა-სით მიმღერის ნანინას უცნაურსა...
მწუხარეა ყოველი, მწუხარეა ბუნება,
გულჩამთხრობი დუმილი ჩემს ფიქრს ესალბუნება...
იალქანი ბედისა ცრემლთა ზღვაში ჭქანაობს,
ფრთა-ასხმული ოცნება ფიქრთა ზღვაში ჭბანაობს.

—

იქ ვინ არის ნაძვის ქვეშ თმაგაშლილი, მტირალი,
ლოდს რომ დაშტერებია, სევდით გამომზირალი?—
„შეშლილია, საბრალო, ბედით განაწირალი,
ამ დროს სასაფლაოზე მარად დაძრწის მტირალი!“
რა სთქვი, რა სთქვი ნიავო, იგი შეშლილს არა ჰგავს,
ცრემლი რომ სდის მდუღარე, ნუთუ არ დაგინახავს!
გესმის? იმ წყნარს ქვითინში გმინვა ისმის სულისა,
სევდიანი, მწუხარე—გმინვა დაქანცულისა.
წედან მკლავებ გაშლილი სატრფოს მოიწოდებდა,
[დებდა!
ტრფობის ფერფლი ხელთ ეპყრა, გულნათუთქი ჰგოს-
...ეჰ, ვინ იცის, ნიავო! ბედს მუხთალს და ტიალსა
რაოდენი უმანკო მსხვერპლად დაუმონია,
აქ მოსულან და სცლიან ნაღვლით სავსე ფიალსა,
შენ-კი შენთვის სისინებ—სხვა შეშლილი გგონია.

—

უხმო ლოდებს, აკლდამებს დასწოლია აჩრდილი,
დასწოლია აჩრდილი, შავი, როგორც სიკვდილი.
მწუხარეა ყოველი,—მწუხარეა ბუნება.
გულჩამთხრობი დუმილი ჩემს ფიქრს ესალბუნება.
მწუხარეა ყოველი, როგორც სატრფო ობოლი,
შემოდგომის ფოთოლი,—როგორც სატრფო ობოლი.
იალქანი ბედისა ცრემლთა ზღვაში ჭქანაობს,
ფრთა-ასხმული ოცნება ფიქრთა ზღვაში ჭბანაობს...

ვ. მწუხრიშვილი

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი

გადამხმარი მიდამო გამოცოცხლდა. გაზაფხულის საამო და სანეტარო სიომ დაჰბერა. ამოქმედდა მიწა, მცენარეებში სიცოცხლის ნაკადული ჩაისახა. ამწვან-აბიბინდა მდელო, აჭრელდა მთები. ტყე-ველ-მიდორი ათასფეროვან ყვავილებით შეიმოსა. ჰაერი საამური სურნელოვანებით გაიჟღინთა. ამეტყველდა ადამიანი, ახმაურდა პირუტყვი, აქაფდა და არაკრაკდა მდინარეები.—უკვე მოფრინდა მერცხალი—გაზაფხულის მახარობელი, მხიარულად მოედვენ მწვანე ფოთლით შემოსილ ტყე-ველს და საამურათ აჭიკჭიკ-აჟღურტულდენ ცელქი ჩიტუ-

ნიები. ყველგან და ყველაფერში სიცოცხლე ჩაისახა. ფუტკარი საამურად დაბზუის ყვავილებს და მოწიწებით სწუწნის სიტკბოებას. ყვავ-ყორანთა ჩხავილი ჩვევულებრივ აღარ ჰწამლავს ადამიანთა სმენას; —თუ სავსებით არ მომკვდარა—ხომ თანდათანობით კვდება მაინც შავ-ბნელი ზამთარი, დადგა გაზაფხული.

— გაუმარჯოს გაზაფხულს!

ილია ბახტაძე

შენ ვერ ვაიგებ, ვერ მიხვდები!..

(მელო-დეკლამაციისათვის)

მაღლა, პატარა გორაკზე, თავ-ჩაქინდრული იჯდა ჩემი იმედი, ჩემი სიცოცხლე, ჩემი სულის დგმა! მე კი იქ ძირს ვიყავ და აღტაცებით მას შევცქეროდი! ის ჩურჩულით მეუბნებოდა, იცი რას? —

ეხ, შენ ვერ გაიგებ, ვერ მიხვდები!

მე მას ვეძახდი, მაგრამ ჩემი მას არ ესმოდა; მის გულის პასუხს მე კარგად ვგრძნობდი! იცი იმის კვნესით მე რასა ვგრძნობდი? —

ეხ, შენ ვერ გაიგებ, ვერ მიხვდები!

იქ არე-მარე ოდნავ ნათელს იფენდა და მე კი ძირს ბნელში ვიყავ გაფითრებული! ვეხვეწებოდი, ვეევედრებოდი აეხსნა: რა ჯომ ნათელი ოდნავ ანათებს-მეთქი? იცი რა მითხრა? —

ეხ, შენ ვერ გაიგებ, ვერ მიხვდები!

მე გადავსწყვიტე მასთან მისვლა და კიდეც მიველ! მე მეშინოდა, ვკანკალებდი, ხელს ვერ ვახებდი! ის წმინდა იყო, წმინდა ვით ანკარა მთის წყარო! მე მას გამოვეხმაურე. მან თავი აღაღო მაღლა და იცი რა მითხრა? —

ეხ, შენ ვერ გაიგებ, ვერ მიხვდები!

იუზა ზარდალიშვილი

ილია ჭავჭავაძე
(1837—1907)

ქართველ მწერალთა წერილები

(მოგონებანი)

IV

ილია ჭავჭავაძე

მესამოცე წლების მოდვაწეებმა შეჭმნეს ახალი ხანა საქართველოს ცხოვრებაში. ამათ გამოაცხადეს დაურიდებლად ეროვნული პროგრამა. მამებმა იტკიცეს ეს ახალი მიმართულება შვილებისა. მედროშე ამ ახალის მიმართულებისა იყო სიკვდილამდე ილია ჭავჭავაძე, „ის დაბერადი, ბურთიგით მრგვალი“, როგორც მას უწოდა გრ. ორბელიანმა. გაჩნდა მამებსა და შვილებს შორის ბრძოლა, რომელშიაც უმთავრესად თავი იჩინეს ილიამ და აკაკიმ. „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ ილია ერთხანად გაშორდა თითქო ლიტერატურულს სპარეზს, იგი მომრიგებელ-შუამავლად დანიშნეს დუშეთის მაზრაში, მაგრამ მაინც დაუბრუნდა ისევ თვის საყვარელ საგანს, კვლავ გაისმა მისი ხმა „კრებულში“, რომელშიაც ზედიზედ ისტამბებოდა მისი ნაწერები. მისი ნაყოფიერი და ძლიერი მამულიშვილური მოღვაწეობა იწყობა 1877 წლიდამ, როცა მან დაირსა საკუთარი ორგანო—კვირეული ჟურნალი „ივერია“ და საბოლოოდ დამკვიდრდა თბილისში საათავად-ახსნაურო ბანკის თავმჯდომარედ. ამ დროს ილიას ნიფთიერმა უზრუნველყოფამაც ხელი შეუწყო და სიკვდილამდე მისს დიდებულს კალამს შელანი არ შეშრობია. იგი მულამ დარაჯი იყო თვისი ეროვნული პროგრამისა, დარაჯი უშიშარი და თავგამოდებული: არც ერთი საერო საკითხი არ აღძრულა ჩვენში, რომელ დარგშიაც გინდათ, რომ მისი მადლიანი კალამი არ შეხებიყოს და თავგამოდებით არ დაეცვა, მაგ. მისი მედგარი იერიში კატკოვზე ქართველთა დროშის შესახებ, მისი იუმორით აღსავსე წერილი „კუტუზი ქართველთ ულაპია“, ინოგესკისთან ბრძოლა, „ქვათა დადადი“, „ია ისტორია!“ და სხვ. მრავალი. მისი იდეალი იყო მთელი საქართველოს ერის ეკონომიურად კეთილიერება, განუწყვეტლად წოდებისა. სამარ-

თლიანად დააფასა ეს დიდებული ღვაწლი ილიასი ჩვენმა სასიქადულო არ. ჯორჯაძემ: არჩილის თქმით პოლიტიკური სიმბოლო ილიასი იხატებოდა ეროვნულ ცხოვრების აღორძინების საჭიროებაში. ამას ელტვოდა ილია თვისს ხანგძლივ მოღვაწეობის ჟამსა.

პირადად ილია გავიცან 1877 წ. შემოდგომაზე, როცა „ივერიას" თანამშრომლად გავუხდი. ილიას უყვარდა თავისი თანამშრომლების გაცნობა. მაშინ მე ვუგზანიდი პროვინციალური მეთვალყურის წერილებსა. პოეტ იოსებ ბაქრაძისთვის ეთქვა, დაიბარე შენი მეგობარი კაცი და გამაცანიო. ბაქრაძე შეხვედრიყო ვანო ხიმშიაშვილს და დაებარებინა ჩემი თბილიში ჩასვლა. როცა დრომ ნება მომცა, ვიახელ დიდებულს მგოსანს. მაშინ ბანკი სოლოლაკის ქუჩაზე იყო, სადაც ახლა საგუბერნიო სამმართველოა. წამიყვანა იოსებმა. გზაზე საშინელი ღელვა ამივარდა, იოსებმა ლაპარაკზე შემატყო. გავუტყდი, რომ ილიას დანახვაზე ენა ჩამივარდება და რას იფიქრებს, ეს უენო კაცია ჩემი თანამშრომელიო. მეც არ ვიცოდი, რად ვღელავდი... ასე სცოდნია დიდებული კაცის ნახვა-გაცნობას.

გამოვიდა ილია ცალკე ოთახში, სადაც მე და იოსები ვუცდიდით. მისმა ბადრმა სახემ, ფართო შუბლმა, საზოგადოდ მისმა სახის მეტყველებამ ისე გამიტაცა, რომ ღელვა დამეკარგა და დავშოშმინდი. მაშინდელი ილია უცხო სანახავი იყო: შავი წვერი, გძელი თმა, კისრამდე ჩაშვებული და შუაზე გაყოფილი, ამშვენებდა მის ბადრს სახესა. დარიგება მომცა, პროვინციები ჩამორჩენილია კულტურულ ცხოვრებას, განათლებასა, კაცები არა გვავს სოფლად, რომ გაათვითცნობიეროს იგი. ყველა თქვენგანმა პროვინციის ქალაქებში უნდა ჯგუფები შეადგინოთ და ამ ჯგუფებმა იმქმედონო.

— მაინც რამდენი კაცი იქნებით გორში? მკითხა ილიამ.

- სამი-ოთხი, მაგრამ თითო-ოროლა სოფელშიც მოიპოვებიან განათლებულნი პირნი, რომელნიც მხარს გვაძლევენ ქალაქელებსა და შეერთებულის ძალით ვმუშაობთ. ახლა ხალხოსნური მოძრაობაა-მეთქი, ვუთხარი მე.

— შრომაა საჭირო, შრომა პატიოსანი!.... უნდა ჩააწვეთოთ ჩვენს ხალხს, ყველას განურჩევლად წოდებისა, იშრომონ, იშრომონ, რომ ეკონომიურად მოღონიერდნენ. დღემდე ჩვენი გლეხობა გალეწილი იყო ბატონყმობისაგან, დღეს მან თავი დაიხსნა, მაგრამ მარტო ვერ გასწევს ჭაპანსა, მას ყურის გდება უნდა, გზის ჩვენება და ეს კი ახალგაზდობის საქმეა.. მითხრა ილიამ....

ასე მგონია ახლა მელაპარაკება-მეთქი, ისე ჩამრჩა ხსოვნაში ილიას ნალაპარაკევი. ბოლოს მითხრა: ჯერხნობით სასყიდელს ვერას მოგცემთ პროვინციის თანამშრომლებს, გაზეთი თავის თავს ჯერ ვერ იკვებავს, ჩემი ფულით გამოდის, მაგრამ საქმე ხომ ასე არ იღონდილებს, დრო მოვა და გაფართოვდება საქმე, მკითხველი გაჩნდება..., ჰო, — მითხრა ბოლოს, — შენი წერილებიდან სჩანს, რომ ხალხს კარგად იცნობ, რატომ ხალხის ცხოვრებიდან მოთხრობებს არა სწერთ.

— მაქვს, მაგრამ ვერ ვბედავ ჯერ, — რადაც მაყენებს.

— სცადე, სცადე! მითხრა და გამოვეთხოვეთ.

(გაგრძელება შემდეგ №-ში)

ა ჩ რ დ ი ლ ი

(ტეტმაიერიდან)

ყოველთვის თან სდევს აჩრდილი ადამიანს და არას დროს არ სცილდება. არც დღით არც ღამით. ხშირად თვალწინ უდგას ის ადამიანს, მაგრამ ვერ ამჩნევს, როგორც ხშირად ვერ ვამჩნევთ მცენარეს სახლის წინ, რომელშიაც დიდხანსა სცხოვრობ, ანუ ვერ ამჩნევ შენს თანამგზავრს, როდესაც ფიქრი სხვა საგანს დაუმონებია.

მაგრამ აჩრდილი ყოველთვის იმყოფება ადამიანთან, იმ დროსაც, როდესაც ბავშვი ხარ და ნაზი ალერსით ეკონვი დედის მკერდს, როდესაც შეჰყურებ სატრფოს მიბნედილ თვალებს და სცდილობ მწველი ცეცხლი აანთო მის გულში, იმ დროსაც, როდესაც გასცქერ გაზაფხულზე ტურფად აბიბინებულ ველს და ფიქრობ: შესაძლოა მომავალ გაზაფხულზე ჩემს საფლავზედაც აბიბინდეს მწვანე მოლიო.

დღისით და ღამით, ყველგან, ყოველთვის თან სდევს ადამიანს აჩრდილი, ერთგული ვით მარტოობა — და ეს აჩრდილი არის სიკვდილი.

მიხ. ბოჭორიშვილი

წვრილი ამბები

საშოგლოში

მწერალ-მოღვაწის ანტონ ფურცელაძის გარდაცვალებიდან 6 თვის თავი სრულდება 4 მაისს. ამ დროსთვის ზ. ჭიჭინაძე გამოსცემს მისი მოღვაწეობის დამახასიათებელ წერილების კრებულს.

მგოსანმა ალ. შანშიაშვილმა გერმანულიდან სთარგმნა ჰეტეს „ფაუსტი“, ფრანგულიდან როსტანის დრამა „შორეული დედოფალი“. ამჟამად სთარგმნის რებინდრანათ ტაგორეს „სიყვარულის ლექსებს“, რომელიც ჩვენს ჟურნალში დაიბეჭდება.

ბათუმის დრამ. საზ-ამ გადასწყვიტა მომავალ სეზონისათვისაც იყოლიოს დასი.

სახალხო თეატრის ისტორია დასწერა დამსახურებულმა სცენის მოყვარემ გიორგი ჯაბაურმა. დაიბეჭდება ჩვენს ჟურნალში.

ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“ იუზა ზარდალიშვილმა თავისის ხარჯით გაუწერა **ჩხარის** სამკითხველოს (და **არა საჩხერისას**, როგორც შეცდომით იყო მოხსენებული).

ბელეტრისტი სპირიდონ მცირიშვილი, ბიკენტი ღომთათიძე—მეორე სათათბიროს წევრად ნამყოფი და ასტრახანს გადასახლებული, ეს მეორე თვეა ავადაა.

ქართ. სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობის მოსაწვევად საჭირო ნებართვისთვის ქართ. დრამ საზ-ის გამგეობამ უკვე შუამდგომლობა აღძრა. კრება შესდგება 11 ან 15 მაისს.

ახალგაზდა მგოსანმა კ. ჭიჭინაძემ დასწერა ორიგინალური პოემა „რახი“.

ფოთის ქალაქის თვით-მართველობამ გადასწყვიტა ააგოს თეატრი ქალაქის ბაღის გვერდით. საჭირო თანხა გადიდო.

მსახიობი იუზა ზარდალიშვილი ამ ზაფხულისთვის წაიკითხავს ბაკურიანში ლექციებს გამგზავრებას წარმოდგენების გასამართავად.

მსახიობი ვ. ურუშაძე ქართულ დასით მაისში წარმოდგენების გასამართავად გაემგზავრება შავიზღვის ნაპირის დაბა-ქალაქებისკენ.

ვ. ურუშაძემ დასწერა ვოდევილი „სასალდათო სტუდენტი“, რომელიც ნებართვის ასაღებად საცენზურო კომიტეტს წარედგინა.

ახალი თეატრის აშენება ბათუმში დაუწყია ბათუმის ძველი თეატრის პატრონს შმაევსკის.

თავ. ჯორჯაძემ ფერადის წამლებით დახატა დრამატურგის ი. გედევანიშვილის დიდი სურათი.

მგოსანი ი. ევდოშვილის სასარგებლოდ მაისში გაიმართება წარმოდგენა.

სომეხთა შორის

საიათნოვას ძეგლს სომეხ მწიგნობართა საზ-ის თაოსნობით აკურთხებენ მაისის შუა რიცხვებში. ამავე დროსთვის გამოვა მის ლექსთა კრებული.

მსახიობ გ. ტერ-დავთიანის 40 წ. სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად წარმოდგენა გაიმართება ავლაბრ. კლუბში 30 აპრილს.

რუსთა შორის

დიდი მარხვის წარმოდგენების აღკრძალვის შესახებ რუსეთში შუამდგომლობა აღუძრავს მოსკოვის მიტროპოლიტს.

რეჟისორი კ. მარჯანაშვილი საზამთრო სეზონისთვის მიწვეულია როსტოვის დონში ზარაისკაის დასში.

პატარა ვლეხთა კონცერტი

—

კვირას, 13 აპრილს, ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების დარბაზში თ. კონსტანტინე მისეიდის ქეშ ამირეჯიბმა გამართა პატარა კონცერტი. ამ კონცერტზედ უკრავდა მასივე სასწავლებლის მოწაფეთა ჯგუფი. სულ 18 მოწაფე წარმოადგენს ორკესტრს და დიდი ხანიც არ არის, რაც იგინი ამ საქმის შესწავლას შესდგომიან. 9 თვის განმავლობაში ამ მოწაფეთ, რომელთა შორის ბევრი პატარაც ურევია, საკმოდ შეუსწავლიათ ლითონის იარაღებზე დაკვრა და ჩინებულად ახერხებენ ზოგიერთი ძნელი ხმის შესრულებასაც-კი. თუკი ამ მცირე ხნის განმავლობაში სოფლის პატარა ბიჭებმა შესძლეს ამდენი, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ, რამოდენიმე წლის ვარჯიშით, ესენი უფრო და უფრო დახელოვნდებიან.

მათი მასწავლებელი თეთონ კ. მ. ამირეჯიბი ეოფილა და ეს კონცერტიც მისივე ლოტბარობით შესრულდა. ხალხი ბევრი დასწრო და ეველანი კმაყოფილნი დარჩნენ, საამოვნებით ისმენდენ სოფლის პატარა მემუსიკეთა შრომის ნაყოფს. მიუხედავად ამისა, რომ დიდხანს და ოთხმის შეუსვენებლივ უკრავდნენ, არც ეროს დაღლილობა არ ეტყობოდა.

დიდი მადლობის დირსია თეთონ ბ-ნი ამირეჯიბი, ავლეკის სასწავლებლის დამაარსებელი და პატრონი, რომ ასეთი საკერო დარგისთვის მიუქცევია ეურადღება და სოფლად, ქალაქზე დაშორებულ კუნჭულში, შეუტანია ესთეტიური გასართობი, რისთვისაც ეოველი ქართველი მადლობელი დარჩება.

მეთვალყურე

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

ყოველკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო, სათეატრო და საზოგადოებრივი შინაარსის სურათებიანი ჟურნალი

იუმორისტული განყოფილებით და კარიკატურებით. ჟურნალში დაიბეჭდება წერილები თეატრის, მწერლობის, მუსიკის, მხატვრობა-ხელოვნებისა და საზოგადოებრივ ცხოვრების შესახებ, კრიტიკული განხილვანი, დახასიათებანი, ისტორიულ-ბიოგრაფიული ცნობანი, მოთხრობანი, ლექსნი, იუმორისტული ამბავნი, სამეცნიერო მიმოხილვანი, სურათები, ნახატები, კარიკატურები და სხ.

ყოველს ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა, ორიგინალური ანუ ნათარგმნი.

ჟურნალს საგანგებო თანამშრომელ კორესპონდენტები ჰყავს რუსეთსა და საზღვარგარედ. ჟურნალში ითანამშრომლებენ ცნობილი მწიგნობარნი, მუსიკოსნი, დრამატურგნი, მგოსანნი და მხატვარ-ხელოვანნი.

ჟურნალის ფასი: წლიურად—5 მ, (წლის დამლევამდე—4 მ.). ნახევარი წლით—3 მ.. თითო—10 კ. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ხელმოწერის დროს 1 მ., დანარჩენიც ორ ნაწილად.

ხელისმოწერა მიიღება: ქართ. დრამატ. საზოგადოების კანტორაში და იოსებ იმედაშვილთან („სორაპანის“ სტამბაში) დილით 10—2 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე.

წერილები და მასალები უნდა გამოიგზავნოს იოსებ იმედაშვილის სახელზე—Тифлисъ, ред. жур. „**Театри да Цховреба**“ Іосифу Имедашвили.

ჟურნალში დასაბეჭდი განცხადებანიც მიიღება იქვე. ტელეფონი № 15-41

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისთ.

წელიწადი მეოთხე — **თემი** — წელიწადი მეოთხე

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
გამოდის ორშაბათობით

წლიურნი ხელის მომწერელნი მიიღებენ **2** საჩუქარს: 1) წიგნს, სადაც მოთავსებული იქნება **აკაკის** პოემა „**რაჭა-ლეჩხუმი**“, რაჭა-ლეჩხუმში მისი მოგზაურობის ამბავი წარმოთქმული სიტყვები და ამ კუთხის რუკა; 2) **ნ. ა. დუბროვსკის** თხზულებას „**ავგუსტ ბებელი**“, რომელიც საკუთრად „თემი“-სთვის არის დაწერილი.

ხელისმოწერა მიიღება „თემი“-ს რედაქციაში (ოლგას ქ., სახ. დიასამიძისა, № 4).

ფასი გაზეთისა: წლიურად—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., ერთი თვით—25 კ. კონტორა ღიაა ყოველდღე დილის 10 საათიდან 1 საათამდე.

მისამართის გამოცვლა თბილისს გარეშე 40 კ.

მისამართი: Тифлисъ, Ольгинская № 4, д. Діасамидзе, редакція газ. „**Теми**“.

რედ.-გამომცემელი **გრ. დიასამიძე**

იმერეთი ყოველდღიური საპოლიტ.-სალიტ გაზეთი

ახალი რედაქციით და თანამშრომლებით

წლით—7 მ., ნახევარ წლით—4 მ., ერთი თვით 4 აბაზი, ცალკე ნომერი—5 კ.

საზღვარ გარედ წლიურად—15 მ., ნახევარ წლით—8 მ., სოფლის მასწავლებლებს და უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოებს წლიურად 6 მ. ფასის გადახდა ნაწილნაწილადაც შეიძლება.

მისამართი: Кутаисъ, ред. газ. „**Имеретн**“.

რედაქტორ-გამომცემელი **გ. ჰელიძე**

გამოდის ქუთაისში 3 მარტიდან ორშაბათობით

შრომა

სალიტერატურო-საპოლიტიკო და ეკონომიური გაზეთი.

რედაქცია: გიმნაზიის ქ., პ. ფერაძის და ნ. კარნაუხოვის სტამბის სადგომში.

გაზეთის ფასი: წლით—2 მ. 50 კ.. ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., თვით—25 კ., ცალკე ნომერი 5 კ. საზღვარ გარედ ორჯერ მეტი.

ფული და წერილები მიიღება: Кутаисъ, ред, еженед. груз. газеты „**Шрома**“.

სტამბა „გერმესი“, გრაფის ქუჩა № 6. Тифлисъ, тип. „Гермесъ“

მიიღება დასაბეჭდად განცხადებანი

ექიმი ა. ო. იაშვილი

(თბილისის საქალაქო 1-ლ ნაწილის მკურნალი)

შინაგან ავადმყოფობათა.

დილით 8—10 ს., საღამოთი 5—7 ს.

წყნეთის ქ., № 19.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

(ორდინატორი თბილ. სარკინის გზო საავადმყოფოსი)

კანის, ვენერიული და ათაშანგისა

შუადღით 1—2½ ს., საღამოთ 6—8 ს

მოსკოვის ქ. № 4.

ექიმი ივ. გ. გომართელი

შინაგან ავადმყოფობათა

დილის 8—12 ს.,

საღამოთი 5—7 ს.,

ოლგას ქ., № 20,

ტელეფონი № 6—33.

კბილის ექიმი

ექიმი ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს

დილის 9—2 სათ., საღამოს 5—7 სათ.

გოლოვინის პრ., № 12

ექიმი ვ. დ. ლამბაშიძე

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობისა.

ვარდის უბანის ქ. № 9.

ექიმი გ. გ. მაღალაშვილი

შინაგან ავადმყოფობათა

დილით 11—12 ს., საღამოთი 5—6 ს.

ოლგას ქ. № 39.

ექიმი ნ. ი. თიკანაძე

(თბილისის საქალაქო მკურნალი)

შინაგან სნეულებთა

დილით 8—10 ს.

კიროჩნი ქ. № 18.

ხელოვნურად — სამკურნალო და — შეზავებული — ხილეულობის წყალი

მიტროფანე ლაღიძე და ამ.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან. წმინდა შაქარით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

გემო და სუნი საამური აქვს

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისთვის დიდი ოქროს და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად თბილისის გუბერნიის სამკურნალო მმართველობისაგან (№ 5792)

ქარხნები იმყოფება; თბილისში—გოლოვინის პროსპ. № 6, ტელეფ. № 4-11. ქუთაისში—პუშკინის ქ. № 5.

(10—6)

Воспоминанія
и
ХАРАКТЕРИСТИКИ

Г. М. ТУМАНОВА

Въ 3-хъ вып.

Цѣна каждаго выпуска **75** коп.

Складъ у автора,

Барятинская ул. д. № 6.

(5—1)

სანატორიუმი
ექ. ვახტანგ ლამბაშიძისა

პატარა-ცემში, ბაკურიანის გზაზე

ქალ-ვაჟთათვის 8—15 წლამდე

დაწვრილებითი პირობები მსურველთ გაეგზავნებათ ფოსტით მოთხოვნილებისათანავე.

მისამართი: თბილისი ექ. ვ. ლამბაშიძე

(წ)